# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

## ბრძანება № 1-75

„ 26 „ თებერვალი 2018 წ.

ქ. თბილისში, გ. ახვლედიანის ქ. №22-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.03.024.002), სასტუმროს განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში 2018 წლის 12 თებერვლის №60-01180433778 წერილით წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ქ. თბილისში, გ. ახვლედიანის ქ. №22-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.03.024.002), სასტუმროს განთავსების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება.

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ილია ელოშვილს.

3. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

# თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

